# თბილისის მეტრომ სტარტი აიღო

## მეტროს ამუშავებისადმი მიძღვნილი მიტინგი



თბილისის მეტროს საზეიმო გახსნა. ს უ რ ა თ ზ ე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე ჭრის ლენტს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

**დადგა** ეს დღე, რომელსაც ასე მოუთმენლად მოელოდა ყველა თბილისელი: რესპუბლიკის დედაქალაქში მეტროპოლიტენი ამუშავდა. ამ მოვლენას მიეძღვნა საზეიმო მიტინგი, რომელიც 10 იანვარს გაიმართა სადგურ „რუსთაველის მოედნის“ მარმარილოს ვესტიბიულში. აქ შეიკრიბნენ ქალაქისა და რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სტუმრები, რომლებიც მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ბაქოდან ჩამოვიდნენ, რათა გამარჯვება მიელოცათ თბილისის მეტროს მშენებლებისათვის.

... საღამოს ხუთი საათია. მეტროს ამუშავებისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **შ. ბუხრაშვილმა.** ვესტიბიულში საზეიმოდ გაისმის საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

მიტინგის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **მ. ი. კუჭავა, ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, ღ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ქანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ო. გ. ჩერქეზია, ა. ნ. ინაური,** სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრის მოადგილე **დ. ი. სოსნოვი,** სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს მთავარგვირაბმშენის უფროსი **კ. ა. კუზნეცოვი,** მოსკოვის მეტრომშენის უფროსი **ვ. გ. პოლეჟაევი,** ბაქოს გვირაბმშენის უფროსი **ა. ა. აბდულრაჰიმოვი,** ერევნის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გ. ო. ასრატიანი,** თბილისის მეტროს მშენებლობისა და თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს ხელმძღვანელები, მოწინავე მუშები.

სიტყვა ეძლევა თბილგვირაბმშენის უფროსს **ვ. გოცირიძეს.**

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **ნ. მუსხელიშვილი,** საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი **ვ. ანჯაფარიძე,** გვირაბგამყვანთა № 5 რაზმის ბრიგადირი **გ. კვინიკაძე** და სხვები.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. პ. მჟავანაძეს.

— ძვირფასო ამხანაგებო! ძვირფასო მეგობრებო! — თქვა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ, — ახალი, 1966 წლის წინ წარმატებებისათვის, რომლებსაც რესპუბლიკის მშრომელებმა მიაღწიეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდა ლენინის მეორე ორდენით. ეს დიდი და სასიხარულო მოვლენაა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, საქართველოს ყველა მშრომელის ცხოვრებაში. შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ყველა თბილისელი, ყველა, ვინც მიწისქვეშა რკინიგზით ისარგებლებს, სიყვარულით მოეკიდება ახალ შესანიშნავ ნაგებობას — თბილისის მეტროპოლიტენს, პატივს სცემს მისი შემქმნელების — სახელოვანი მშენებლების შრომას.

სიტყვის დასასრულ ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ გამარჯვება უსურვა საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობასა და ძმურ კავშირს, დიდ კომუნისტურ პარტიასა და მშობლიურ საბჭოთა მთავრობას.

მიტინგის მონაწილეები მიიწვიეს მატარებელთან, რომელიც ბაქანთან იდგა. ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ გადაჭრა ლენტი — ამ წუთიდან ცისფერ ექსპრესებს გზა ხსნილი აქვთ.

მაშ ასე, თბილისის მეტრო ამუშავდა. დღეს, 11 იანვარს დილის 6 საათიდან ეხსნება სადგურის კარი ღიაა მგზავრებისათვის.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოდის 22-ე წელი.

№ 7 (2984) ● სამშაბათი, 11 იანვარი, 1966 წ. ● ფასი 2 კაპ.


## ემბლემა სპარტაკიადისთვის

**სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს ბიურომ დაადგინა 1966 წლის 15 თებერვლამდე ჩაატაროს კონკურსი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის საუკეთესო ემბლემაზე.**

**კონკურსში დაიშვებიან ავტორთა შემოქმედებითი კოლექტივები და ცალკეული მხატვრები. კონკურსის მიზანია სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მაღალმხატვრული ემბლემის შექმნა, რომელიც გამოსახავს 50 წლის განმავლობაში ახალი საზოგადოების ადამიანის აღზრდასა და ფორმირებაში საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის წარმატებებს, ადამიანისა, რომელშიც ჰარმონიულადაა შერწყმული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა.**

**კონკურსზე უნდა წარადგინონ ემბლემის დედნები, რომლებიც შესრულებული იქნება სურათის სახით, აგრეთვე ლითონსა და პაპიე-მაშეზე. ნიმუშების გარდა აუცილებელია განმარტებითი ბარათის წარდგენა. ნიმუშთა რაოდენობა, რომლებიც კონკურსზე უნდა შემოვიდეს, შეუზღუდველია.**

**ემბლემის საუკეთესო ნიმუშებისთვის დადგენილია შემდეგი პრემიები:**

1 პირველი პრემია — 150 მანეთი.

1 მეორე პრემია — 100 მანეთი.

2 მესამე პრემია — 75-75 მანეთი.

**კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილება ავტორებს წერილობით ეცნობებათ.**

**დედნები უნდა გაიგზავნოს მისამართით: Москва, Скатертный пер. № 4, წარწერით — „На конкурс“.**

## ინფორმაციის საათი...

◆ **მოსკოვი. 10** იანვარი. დღეს გლაზგოს გაემგზავრა კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი. კიეველები 12 იანვარს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში შეხვდებიან გლაზგოს „სელტიკს“.

◆ **ოტავა,** 10 იანვარი. **კანადაში სტუმრად მყოფმა ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრებმა კიდევ ერთი საერთაშორისო შეხვედრა გამართა კანადის ნაკრებთან და ამჯერად გაიმარჯვა ანგარიშით 5:1.**


დღეს ნომერში

✦ ელექტრომექანიკოსები — საყრილობო ვახტზე.

✦ ინგლისელები ვარაუდობენ მილიონნახევარ მაყურებელს.

✦ მწვერვალი ანაფორაში.


## დამაჯერებელი გამარჯვება

### ანგარიშია 293,5:249,5 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ

**მოსკოვი,** 10 იანვარი **(ტელეფონით, ჩვენი კორ.).** საბჭოთა მოციგურე ვაჟებმა გაიმარჯვეს სსრ კავშირ — ნორვეგიის გუშინ აქ დამთავრებულ მატჩში — 293,5:249,5.

„ლელო“ უკვე იუწყებოდა, რომ პირველი დისტანცია — 500 მეტრზე რბენა მოიგო საბჭოთა სპორტსმენმა ბ. გულიაევმა.

5000-მეტრიან მანძილზე ყველას აჯობა ნორვეგიელმა ფ. მაიერმა — 7.56,1. 1500 მეტრზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა ვ. კაპლანს (სსრ კავშირი) — 2.14,7. 10.000 მეტრის გარბენას ყველაზე ნაკლები დრო მოანდომა და ადგილობრივი „დინამოს“ საციგურაოს რეკორდი დაამყარა ფ. მაიერმა — 16.20,2.

**ციგურები**

## ტელეტაიპის სტრიქონები

**9 იანვარი**

● **მოსკოვი.** ადგილობრივი „ტრუდის“ ხელბურთელმა ქალებმა „ცუდი მასპინძლობა“ გაუწიეს საფრანგეთის „კოლომბოსის“ გუნდს. ეს იყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩი ამ კოლექტივთათვის. სტუმართა რიგებში საფრანგეთის ნაკრების 6 წევრი თამაშობდა, მაგრამ მათ არც ამან უშველა. მოსკოველებმა ძლიერად ჩაატარეს მატჩი (განსაკუთრებით, შესვენების შემდეგ) და გაიმარჯვეს — 19:9 (6:4) ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა გაიმართება 16 იანვარს პარიზში

● ო ტ ე პ ი ა (ესტონეთი). საბჭოთა მოთხილამურეები გაცხოველებით ემზადებიან მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. სპორტსაზოგადოებათა და უწყებების ოლიმპიური გუნდების კვირადღეს დამთავრებული შეჯიბრებაც სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. 5 კილომეტრზე ქალთა რბენაში გამარჯვებულთა კვარცხლბეკის სამივე საფეხური ვეტერანებმა დაიკავეს. ყველას აჯობა მოსკოველმა ა. კოლჩინამ — 18.52,0. II ადგილზეა გამარჯვებულის თანაქალაქელი რ. აჩკინა — 19.06,0. ასეთივე დრო აჩვენა III ადგილზე გასულმა სვერდლოვსკელმა კ. ბოიარსკიხმა. ძალიან წყვავედ წარიმართა ვაჟთა რბენა 15 კილომეტრზე. საკმარისია ითქვას, რომ გამარჯვებულსა და VI პრიზიორს სულ 8 წამი „ყოფს“. აქ უძლიერესი იყო გ. ვაგანოვი (ცსკა) — 47.16,0. II-III ადგილთა „პატრონებმა“ — ა. აკენტიევმა (მოსკოვი) და ბ. გიზატულინმა (უფა) ერთნაირი დრო (47.19,0) აჩვენეს. ერთი კვირის შემდეგ სმოლენსკში მოთხილამურეები კვლავ გამოვლენ თოვლიან ტრასებზე, რის შემდეგ დაკომპლექტდება მორბენალთა და ბიატლონისტთა ნაკრები გუნდები, რომლებიც დაიცავენ საბჭოთა სპორტის ღირსებას მსოფლიოს ჩემპიონატებში.

● **მოსკოვი.** ბელგრადის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები შეხვდნენ დედაქალაქის დინამოელებს. გაიმარჯვეს მასპინძლებმა: ვაჟებმა ანგარიშით 59:52, ქალებმა — 60:53. შემდეგ შეხვედრებს იუგოსლაველები გამართავენ ლენინგრადში, სადაც 11 და 13 იანვარს ეთამაშებიან რსფსრ-ს ნაკრებ გუნდებს.

● რ ი გ ა. ბელგრადის „ცელეზნიჩარის“ ფრენბურთელი ვაჟები კვლავ შეხვდნენ ადგილობრივ „რადიოტექნიკს“. როგორც წინდღით, ამჯერადაც გაიმარჯვეს მასპინძლებმა. მატჩის ანგარიშია 3:2.

## გუშინ...

ბაკურიანი, (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). **აქ გრძელდებოდა სსრ კავშირის უძლიერეს სამთო-მოთხილამურეთა შეჯიბრება. ისე, როგორც წინდღით, ახლაც მონაწილენი ასპარეზობდნენ გიგანტურ სლალომში. როგორც ქალებისთვის, ისე ვაჟებისთვის უცვლელი დარჩა ტრასების სიგრძე, კართა რიცხვი და სიმაღლეთა შორის სხვაობა. საშავიეროდ ტრასა საგრძნობლად შეიცვალა და იგი მოთხილამურეებისთვის აღარ წარმოადგენდა ნაცნობ ბილიკებს. ვაჟთა შორის გაიმარჯვა მოსკოველმა ვ. ტალიანოვმა (ცსკა) — 1.27,0. ქალთა შორის საუკეთესო შედეგი მოიპოვა მოსკოველმა გ. სიდოროვამ („ლოკომოტივი“) 1.45,8.**

# 1966 წლის რესპუბლიკური სპორტუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალენდარი

1966 წლის რესპუბლიკური მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების კალენდარი, რომელიც წარმოადგინა საქართველოს სპორტკავშირის სპორტული ფედერაციების განყოფილებამ, შეთანხმებულია ცალკეულ ფედერაციებთან, სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებთან და დამტკიცებულია საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის მიერ.

ყველა რესპუბლიკური შეჯიბრება უნდა ჩატარდეს კალენდარში მოცემული ვადების ზუსტი დაცვით. რესპუბლიკურმა ფედერაციებმა ღონისძიებების დაწყებამდე 3 თვით ადრე უნდა განიხილონ, დაამტკიცონ და დაგზავნონ შეჯიბრების დებულებები. რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მონაწილეთა 70 პროცენტის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 25 წელს; მათ შორის, 20 პროცენტისა — 21 წელს (პირველთანრიგოსან სპორტსმენებზე, რომელთა ასაკი 25 წელს აღემატება, შემოღებულია შეზღუდვა).

სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა რესპუბლიკური საბჭოები ვალდებული არიან დაამტკიცონ ზემოაღნიშნული კალენდარი. ამასთან, რესპუბლიკურმა საბჭოებმა შეჯიბრების დაწყებამდე 2 თვით ადრე ადგილებზე უნდა დაგზავნონ დებულებები და გაითვალისწინონ, რომ ასპარეზობებში მონაწილეთა 60 პროცენტის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 25 წელს, მათ შორის 20 პროცენტისა — 21 წელს.

## მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები

1. ჯანმრთელობის III საკავშირო სპარტაკიადა და მასობრივი შეჯიბრებები სპორტის ცალკეულ სახეობებში (გაიოლებული პროგრამით). **I ტური. ნოემბერი-დეკემბერი. II ტური. მაისი-ნოემბერი.**

2. საკავშირო დათვალიერება ფიზკულტურულ კოლექტივებში მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის უკეთ დაყენებაში. **იანვარი-დეკემბერი.**

3. სპორტულ-ტურისტული გამაჯანსაღებელი ბანაკების მუშაობის საკავშირო დათვალიერება: საწარმო-დაწესებულებებსა და სასწავლებლებში — **მაისი-ნოემბერი;** ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და ბავშვთა სპორტულ სკოლებში — **ივნისი-აგვისტო.**

4. საწარმოო ტანვარჯიშში მუშაობის დაყენების მასობრივი დათვალიერება. **იანვარი-დეკემბერი.**

5. ტურისტული შეჯიბრებები: ა) საქალაქო და რაიონული (ორიენტირებასა და ტურისტულ ტექნიკაში) — **იანვარი.** ბ) საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების შეჯიბრებები ორიენტირებაში: ზამთრისა — **თებერვალში,** ზაფხულის — **აგვისტოში.** გ) ამიერკავკასიის რესპუბლიკების მატჩი — **სექტემბერი (სომხეთში).** დ) საკავშირო შეჯიბრება ორიენტირებაში — **მარტი (ლენინგრადის ოლქი).**

6. ტურისტული შეკრებები. ა) საწარმო-დაწესებულებათა და სასწავლებლების — **იანვარი-მარტი.** ბ) ქალაქების (რაიონების) — **თებერვალი-მარტი.** გ) საწარმო-დაწესებულებებისა და სასწავლებლების — **მაისი-ივლისი.** დ) ქალაქის (რაიონების) — **ივნისი-აგვისტო.**

7. საკავშირო დათვალიერება პიონერთა და მოსწავლეთა შორის ცურვის შესწავლის საუკეთესო ორგანიზაციისათვის. **ივლისი-აგვისტო.**

8. მოსახლეობაში მასობრივი ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელი მუშაობის უკეთ დაყენების დათვალიერება (რაიონებში, ქალაქებში, ავტონომიურ ოლქში, ავტონომიურ რესპუბლიკებში, მოკავშირე რესპუბლიკებში და საკავშირო). **იანვარი-დეკემბერი.**

9. კულტურისა და დასვენების პარკებში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საკავშირო დათვალიერება. **იანვარი-დეკემბერი.**

10. საცხოვრებელ-საექსპლოატაციო კანტორების კომუნალური განყოფილებებისა და დაწესებულებების რაიონული და საქალაქო შეჯიბრებები და სპარტაკიადები. **იანვარი-დეკემბერი.**

11. სადღესასწაულო დღეებისადმი მიძღვნილი მასობრივ-ფიზკულტურული ღონისძიებები. დღესასწაულისწინა და დღესასწაულის დღეებში.

12. სოფლად მასობრივ-ტურისტული ხეირნობა მოსავლის აღებასთან დაკავშირებით. **ოქტომბერი-ნოემბერი.**

## კომპლექსური ღონისძიებები

1. ზამთრის II სპარტაკიადები: ა) რესპუბლიკური — სამთო სახეობებში, ხტომებში, სათხილამურო ორჭიდში, ციგურებით ფიგურულ სრიალში, რბენაში, ჰოკეიში, ბიატლონში — **5-10 თებერვალი, ბაკურიანი.** ბ) საკავშირო — სამთო სახეობებში — **4-12 მარტი, ტერსკოლი;** ხტომებსა და ორჭიდში — **5-9 მარტი, სვერდლოვსკი.**

2. სოფლის სპორტსმენთა სპარტაკიადები: ა) რესპუბლიკური — ჭადრაკში — **18 იანვრამდე, თბილისი.** შაშში — **20-27 იანვარი, თბილისი.** კლასიკურ ჭიდაობაში — **15-18 მარტი, ბათუმი.** ძალოსნობაში — **19-22 მარტი, თელავი.** თავისუფალ ჭიდაობაში — **20-23 მარტი, მცხეთა.** საგზაოტკეცილო ველორბოლაში — **19-23 მაისი, მცხეთა.** ფრენბურთში (ზონალური შეჯიბრებები) — **ივლისი, სამტრედია, ლაგოდეხი;** ფინალი — **27-31 ივლისი, სოხუმი.** ცხენოსნობაში — **13-18 ივლისი, ზუგდიდი.** მძლეოსნობაში — **27-30 აგვისტო, ბათუმი.** ბ) საკავშირო: ჭადრაკში — **6-17 აპრილი, სარატოვი.** შაშში — **7-17 აპრილი, ტაჯიკეთი.** კლასიკურ ჭიდაობაში — **9-12 აპრილი, ვიტებსკი.** თავისუფალ ჭიდაობაში — **14-17 აპრილი, ვილიანდი.** ძალოსნობაში — **14-17 აპრილი. რიაზანი.** ცხენოსნობაში — **23-28 აგვისტო, კოსტრომა.** საგზაოტკეცილო ველორბოლაში — **14-18 სექტემბერი, კიშინიოვი.** ფრენბურთში — **18-25 სექტემბერი, პოლტავა.** მძლეოსნობაში — **22-25 სექტემბერი, პოლტავა.**

3. სტუდენტთა თამაშები. ა) ინსტიტუტებში — **30 აპრილამდე,** ბ) რესპუბლიკური: საგზაოტკეცილო ველორბოლაში, წყალბურთში, ჭადრაკში, აკრობატიკაში, მაგიდის ჩოგბურთში, ფარიკაობაში, ნიჩბოსნობასა და კანოეში, ველოტრეკზე, თავისუფალ ჭიდაობაში, საგზაოტკეცილო ველორბოლაში, კრივში, კალათბურთში, ფრენბურთში, კლასიკურ ჭიდაობაში, ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ხელბურთში, წყალში ხტომაში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ჩოგბურთში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ცურვაში, ძალოსნობაში, ფეხბურთში — **მაისი, თბილისი.** გ) საკავშირო: საგზაოტკეცილო ველორბოლაში — **2-6 ივლისი, ლენინგრადი;** წყალბურთში — **20-30 ივლისი, მინსკი;** ჭადრაკში — **21-30 ივლისი, მინსკი;** აკრობატიკაში — **21-25 ივლისი, მინსკი;** მაგიდის ჩოგბურთში — **21 ივლისი-1 აგვისტო, მინსკი;** ფარიკაობაში — **21 ივლისი-1 აგვისტო, მინსკი:** ნიჩბოსნობასა და კანოეში — **22-26 ივლისი, გომელი;** თავისუფალ ჭიდაობაში — **22-26 ივლისი, მინსკი;** ველოტრეკზე — **24-27 ივლისი, ლენინგრადი;** სამბოში — **25-28 ივლისი, მინსკი;** კრივში — **26 ივლისი-2 აგვისტო, მინსკი;** კალათბურთში — **26 ივლისი-2 აგვისტო, მინსკი;** ფრენბურთში — **26 ივლისი-2 აგვისტო, მინსკი;** კლასიკურ ჭიდაობაში — **28 ივლისი-1 აგვისტო, მინსკი;** ტანვარჯიშში — **28 ივლისი-2 აგვისტო, მინსკი;** მძლეოსნობაში — **29 ივლისი-2 აგვისტო, მინსკი;** ხელბურთში — **29 ივლისი-6 აგვისტო, მინსკი;** წყალში ხტომაში — **30 ივლისი-1 აგვისტო, მინსკი;** აკადემიურ ნიჩბოსნობაში — **30 ივლისი-3 აგვისტო, ლენინგრადი;** ჩოგბურთში — **1-11 აგვისტო, მინსკი;** ცურვაში — **2-6 აგვისტო, მინსკი;** მხატვრულ ტანვარჯიშში — **2-6 აგვისტო, მინსკი;** ძალოსნობაში — **4-7 აგვისტო. მინსკი;** ფეხბურთში — **5-7 აგვისტო, მინსკი.**

4. პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა სპარტაკიადები. ა) რესპუბლიკური: ზონებში — **25-30 აპრილი, თბილისი; 27-31 მაისი, რუსთავი; 9-14 ივნისი, ქუთაისი;** ფინალები: კრივში — **16-20 მაისი, თბილისი;** აკრობატიკაში, კალათბურთში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, ფრენბურთში, ტანვარჯიშში, საგზაოტკეცილო ველორბოლაში, ნიჩბოსნობასა და კანოეში, მძლეოსნობაში, ცურვაში, მაგიდის ჩოგბურთში, ფეხბურთში, ჭადრაკში — **24-30 ივნისი. თბილისი.** ბ) საკავშირო: კრივში — **18-24 ივნისი, კისლოვოდსკი;** ფეხბურთში, აკრობატიკაში, კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, საგზაოტკეცილო ველორბოლაში, მძლეოსნობაში, ცურვაში, ტანვარჯიშში, ნიჩბოსნობასა და კანოეში, თავისუფალ ჭიდაობაში, კლასიკურ ჭიდაობაში — **3-11 აგვისტო, ლენინგრადი.**

5. საქართველოს სსრ IV სპარტაკიადა (რაიონების ნაკრებ გუნდებს შორის) — ა) აღმოსავლეთის ზონა: ძალოსნობაში — **1-3 ოქტომბერი, თელავი;** თავისუფალ ჭიდაობაში — **1-4 ოქტომბერი, კასპი;** კლასიკურ ჭიდაობაში — **1-4 ოქტომბერი, საგარეჯო;** მძლეოსნობაში — **1-4 ოქტომბერი, გურჯაანი;** საგზაოტკეცილო ველორბოლაში — **6-7 ოქტომბერი, მცხეთა;** ქართულ ჭიდაობაში — **8-11 ოქტომბერი, ბორჯომი;** კალათბურთში — **12-21 ოქტომბერი, ხაშური;** ფრენბურთში — **12-21 ოქტომბერი, გორი;** ბ) დასავლეთის ზონა: საგზაოტკეცილო ველორბოლაში — **1-2 ოქტომბერი, აბაშა;** ტანვარჯიშში — **1-4 ოქტომბერი, ლანჩხუთი;** ქართულ ჭიდაობაში — **1-4 ოქტომბერი, მახარაძე;** კალათბურთში — **1-10 ოქტომბერი, სამტრედია;** ფრენბურთში — **1-10 ოქტომბერი, ფოთი;** ძალოსნობაში — **6-8 ოქტომბერი, ცხაკაია;** თავისუფალ ჭიდაობაში — **6-9 ოქტომბერი, ზესტაფონი;** კლასიკურ ჭიდაობაში — **6-9 ოქტომბერი, ჩოხატაური;** მძლეოსნობაში — **11-14 ოქტომბერი, ზუგდიდი.**

6. საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა: აკრობატიკაში, კალათბურთში, კრივში, თავისუფალსა და კლასიკურ ჭიდაობაში, საგზაოტკეცილო ველორბოლაში, წყალბურთში, ფრენბურთში, ტანვარჯიშში, ნიჩბოსნობასა და კანოეში, მძლეოსნობაში, ცურვაში, წყალში ხტომაში, ხელბურთში, ტყვიით სროლაში, ჩოგბურთში, ფარიკაობაში, ფეხბურთში, ჭადრაკსა და შაშში — **ივნისი.**

## აკრობატიკა

1. ახალგაზრდობის სპორტსკოლების საკავშირო შეჯიბრება. **21-27 მარტი. ხარკოვი.**

2. რესპუბლიკური შეჯიბრება ახალგაზრდებს შორის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. **25-28 მარტი. თბილისი.**

3. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. **18-22 მაისი. დონეცკი.**

4. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. **2-5 ივნისი. სოხუმი.**

5. საკავშირო შეჯიბრებები: ა) შერეულ წყვილთა შორის. **29-30 ივნისი. რიგა.** ბ) ვაჟთა წყვილებში. **24-25 სექტემბერი. კრასნოდარი.** გ) ოთხეულთა შორის. **15-16 ოქტომბერი. დუბნა.**

6. საკავშირო პირად-გუნდური საუწყებათაშორისო შეჯიბრება ჭაბუკთა და გოგონათა შორის (1948-1949 წ. წ. დაბადებულნი). **14-17 მაისი. დონეცკი.**

## ალპინიზმი

1. საქართველოს პირველობა კლდეზე ცოცვაში. **21-25 მაისი. მესტია.**

2. სსრ კავშირისა და საქართველოს პირველობა. **ივნისი-სექტემბერი. კავკასიონი, პამირი, ტიანშანი, ალტაი.**

## ბადმინტონი

1. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. **10-16 სექტემბერი. ბათუმი.**

2. სსრ კავშირის გუნდური პირველობა. **7-11 ოქტომბერი. კლაიპედა.**

3. სსრ კავშირის პირადი პირველობა. **12-16 ოქტომბერი. კლაიპედა.**

## კალათბურთი

1. საკავშირო შეჯიბრება ჭაბუკთა შორის (1948-1949 წ. წ.). ფინალი. **21-30 მარტი. კალინინი.**

2. საქართველოს პირველობა II ჯგუფის გუნდებს შორის: ზონებში — **მარტი — თელავი, ქუთაისი, გორი, სოხუმი.** ფინალი — **22-27 მარტი. ფოთი.**

3. ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრება (1950-1951 წ. წ.). ფინალი. **21-27 მარტი. კუიბიშევი.**

4. სსრ კავშირის პირველობა „ა" კლასის გუნდებს შორის: ვაჟები — I ჯგუფის I წრის II ტური — **27 იანვარი-3 თებერვალი, ტალინი;** II წრის I ტური — **22-28 თებერვალი, ტარტუ, ლენინგრადი;** II ტური — **20-27 მარტი, თბილისი.** II ჯგუფის I წრის I ტური — **31 იანვარი-6 თებერვალი, ერევანი, ვოლგოგრადი, ტაშკენტი;** II წრის II ტური — **2-10 აპრილი** (გეგმით). ქალები — I ჯგუფის I წრის II ტური — **27 იანვარი-3 თებერვალი, კიევი;** II წრის I ტური — **22-28 თებერვალი, თბილისი, რიგა;** II ტური — **20-27 მარტი, მოსკოვი.** II ჯგუფის I წრის I ტური — **31 იანვარი-6 თებერვალი, დნეპროპეტროვსკი, ტაშკენტი, ვილნიუსი;** II წრის II ტური — **2-10 აპრილი** (გეგმით).

5. რესპუბლიკური შეჯიბრება საკავშირო პირველობაზე „ბ" კლასში მონაწილე გუნდის გამოსავლენად. **29 იანვარი-2 თებერვალი. თბილისი.**

6. საქართველოს პირველობა „ა" კლასის გუნდებს შორის. **27 ივნისი-4 ივლისი. ქუთაისი.**

7. ევროპის პირველობა ჭაბუკთა შორის — **22-30 აგვისტო, იტალია;** ქალთა შორის — **1-10 ოქტომბერი, რუმინეთი.**

8. საერთაშორისო შეჯიბრებები აშშ-ის ვაჟთა გუნდთან. **26 აპრილი-10 მაისი. მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, თბილისი.**

9. ჭაბუკთა და გოგონათა რესპუბლიკური შეჯიბრება (1949-1950 წ. წ.). **20-26 ივნისი. ქუთაისი.**

10. ჭაბუკთა და გოგონათა საკავშირო შეჯიბრება (1949-1950 წ. წ.): ჭაბუკები — **16-28 ივლისი, რიგა;** გოგონები — **16-28 ივლისი, კალინინგრადი.**



## კრივი

1. სსრ კავშირის პირადი პირველობა. წინასწარი შეჯიბრებები — **18-28 მარტი, კისლოვოდსკი, დონეცკი, ერევანი, ფრუნზე, ჩერეპოვეცი, მინსკი.** ფინალი — **20-26 მაისი, მოსკოვი.**

2. საქართველოს პირადი პირველობა. **13-16 აპრილი. თბილისი.**

3. ახალგაზრდობის (1946-1947 წ. წ.) რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება რაიონებისა და ქალაქების გუნდებს შორის. **13-16 ოქტომბერი. ქუთაისი.**

4. საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება ახალგაზრდებს შორის (1946-1947 წ. წ.). **18-24 ნოემბერი. ალმა-ათა.**

5. სსრ კავშირის გუნდური პირველობა ზონებში. **16-22 სექტემბერი. კიროვაკანი, დუშანბე.** ფინალი — **13-20 ოქტომბერი. ფრუნზე.**

6. ჭაბუკთა პირად-გუნდური რესპუბლიკური შეჯიბრება (1948-1949 წ. წ.). **2-5 დეკემბერი. თბილისი.**

7. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირადი შეჯიბრება (1948-1949 წ. წ.). **4-8 ივნისი. სოხუმი.**

8. ჭაბუკთა საკავშირო პირადი შეჯიბრება (1948-1949 წ. წ.). **15-22 ივლისი. ჟდანოვი.**

## თავისუფალი ჭიდაობა

1. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. **12-15 მაისი. ბათუმი**

2. ევროპის პირველობა. **6-8 მაისი. გფრ.**

3. სსრ კავშირის პირადი პირველობა. ზონებში — **27-30 ივნისი. ნიკოპოლი, კაუნასი, მახაჩყალა, ყარაგანდა, იჟევსკი.** ფინალი — **6-9 ოქტომბერი. ალმა-ათა, ნოვოსიბირსკი.**

4. საქართველოს პირადი პირველობა. **21-24 ნოემბერი. თბილისი.**

5. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება (1948-1949 წ. წ.). **5-8 მარტი. თბილისი.**

6. ჭაბუკთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება (1948-1949 წ. წ.). **24-27 მარტი. ტალინი.**

7. ახალგაზრდობის სპორტსკოლების საკავშირო შეჯიბრება. ზონებში — **22-24 აპრილი. გროზნო, ორჯონიკიძე, ფერგანა, ნოვოსიბირსკი, ბრესტი.** ფინალი — **1-4 ნოემბერი. ყაზანი.**



## ჭირვეული... მოტოციკლი

სარანსკი, 10 იანვარი. ეს მოხდა გუშინ, ყინულზე მოტორბოლაში რსფსრ-ს პირველობის მეოთხედფინალში. ვირაჟზე ერთ-ერთი მონაწილე მანქანასთან ერთად დაეცა. მაგრამ მოტოციკლი დიდხანს არ „წოლილა". იგი უეცრად „წამოხტა" და... სტადიონის საწინააღმდეგო მიმართულებით გაქანდა, გადალახა თოვლის ორმეტრიანი ზღუდე, დაეშვა იქიდან და ტრიბუნების პირველ რიგთან გაჩერდა. მაყურებელთაგან არავინ დაშავებულა. ამასობაში კი მექანიზებულ ჭირვეულს დაეწია პატრონი და, ვითომც არაფერი მომხდარა, რბოლა განაგრძო.

## ქვეყნები. ჩემპიონატები. ლიდერები

„ლელოს" საკუთარი ინფორმაცია

### „ლივერპული" კვლავ ლიდერობს

შაბათს ინგლისის ჩემპიონატის XXV ტურში „ლივერპული" ლონდონში შეხვდა ადგილობრივ „არსენალს". მატჩი ლონდონელთა მცირე უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ 87-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით გაიმარჯვა „ლივერპულმა": მათმა ცენტრალურმა მცველმა იეტსმა საკუთარი საჯარიმო მოედნის ხაზიდან დაწყებული რეიდი გოლით დააგვირგვინა — 1:0.

საინტერესო იყო ლონდონის გუნდების „ტოტენჰემ ჰოტსპურისა" და „ჩელსის" მატჩი. „ტოტენჰემის" ნახევარმცველმა მაკ-კეიმ ანგარიში გახსნა, მაგრამ „ჩელსის" ახალგაზრდა ფორვარდებმა გრევზმა და ოზგუდმა შემდგომში 2 გოლი გაიტანეს — 2:1.

ტურის დანარჩენი შედეგებია: „ბერნლი"—„ფულჰემი" 1:0, „ევერტონი" —„ასტონ ვილა" 2:0, „მანჩესტერ იუნაიტედი" — „სანდერლენდი" 1:1, „ნიუკასლ იუნაიტედი" — „ვესტ ჰემ იუნაიტედი" 2:1, „ნორთჰემპტონი" — „ბლეკბერნ როვერზი" 2:1, „ნოტინჰემ ფორესტი" —„შეფილდ იუნაიტედი" 1:0, „შეფილდ უენსდეი" — „ლეისტერ-სიტი" 1:2, „სტოკ-სიტი" — „ბლეკპული" 4:1, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" — „ლიდს იუნაიტედი" 1:2.

I ადგილზეა „ლივერპული" — 36 ქულა. ამდენივე ქულით II ადგილი უჭირავს „ბერნლის". „ლიდს იუნაიტედს" 31 ქულა აქვს.

### „რეალი" მეორე ადგილზეა

კვირას ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი, XVIII ტური მადრიდის „ატლეტიკოს" დამაჯერებელი გამარჯვებით აღინიშნა. ლიდერის ფეხბურთელებმა მენდოსამ (2), ლუისმა (2), კოლარმა და სოსამ 6 გოლი გაიტანეს „სევილიას" კარში — 6:1.

ქ. პონტევედრაში მადრიდის „რეალმა" მოუგო ადგილობრივ „პონტევედრას" — 3:1. ბარსელონაში ადგილობრივი „ესპანიოლი" დამარცხდა „ელჩესთან" შეხვედრაში — 0:3.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ბეტისი" — „ბარსელონა" 0:0, „რეალ სარაგოსა" — „ლას-პალმასი" 3:1, „საბადელი" — „მაიორკა" 1:0, „კორდოვა" — „მალაგა" 1:0.

26 ქულით ლიდერობს მადრიდის „ატლეტიკო". მადრიდის „რეალს" 25 ქულა აქვს, ხოლო „პონტევედრა" 22 ქულით III ადგილზეა.



## შეტევაზეა და გაბრიელა

ინგლისური პრესა ამას წინათ იუწყებოდა მირფილდის წმიდა პეტრეს კათოლიკური სკოლის საზრიან მღვდელსა და მასწავლებელზე, ვინმე ჯონ ინკჰემზე, რომელიც „ეკლესიისადმი ახალგაზრდობის ნდობის მოხვეჭის" მიზნით თავის აღსაზრდელებთან ერთად ფეხბურთს თამაშობდა პირდაპირ ანაფორაში. მალე გამოირკვა, რომ ინკჰემი ერთეული არ არის.

„და გაბრიელა, — წერს დასავლეთგერმანული ჟურნალი „კვიკი", საიდანაც ამ სურათს ვბეჭდავთ, — სრულყოფილად ფლობს მეტოქის მოტყუების ყველა ელემენტს. ბრედფორდის (ინგლისი) წმიდა იოსების სკოლის მოსწავლეები აღფრთოვანებული არიან მისი თამაშის მანერით".

თავად და გაბრიელა აშკარად ლაპარაკობს იმაზე, რომ ჩვენს დროში ღვთის მსახურება უიმედოდ შეიძლება მოძველდეს, თუ მისი ღვთისმმოსავნი ყოველნაირად არ შეეცდებიან იგი საინტერესო და გამრთობი გახადონ ყრმებისთვის.

— თუკი ჩვენ საკუთარ თავს სულების მოძღვრებს ვუწოდებთ, — აცხადებს იგი, — რატომ არ უნდა ვიყოთ სხეულთა მოძღვრებიც? ახალგაზრდობას სპორტი აბოდებს, ფეხბურთი ესაა უმოკლესი გზა ჭაბუკების სულებისკენ.

და გაბრიელამ დიდძალი სპეციალური ლიტერატურა შეიძინა და სერიოზულად დაიწყო ბრედფორდის წმიდა იოსების სკოლის ფეხბურთელთა გუნდის წვრთნა. ამ სკოლის ფეხბურთელებმა მისი ხელმძღვანელობით ჩემპიონებად გახდომაც კი შეძლეს ე. წ. „სასკოლო ლიგაში". და გაბრიელა ამას ღმერთის შეწევნით ხსნის და უნდა ვივარაუდოთ, ამ აზრს თავის აღსაზრდელებსაც უნერგავს.

ა. ბურკოვი.

## მაყურებლები მსოფლიო ჩემპიონატებში

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების მაყურებელთა რაოდენობა ასეთი იყო.

1930 წ. ურუგვაი — 548 ათასი; 1934 წ. იტალია — 400 ათასი; 1938 წ. საფრანგეთი — 374 ათასი; 1950 წ. ბრაზილია — 1 მილიონ 41 ათასი; 1954 წ. შვეიცარია — 898 ათასი; 1958 წ. შვეცია — 829 ათასი; 1962 წ. ჩილი — 902 ათასი.

ინგლისელი ორგანიზატორები ფიქრობენ, რომ მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატში მაყურებელთა რიცხვი სარეკორდო იქნება და 1,5 მილიონს მიაღწევს თუ, რა თქმა უნდა, ინგლისის ნაკრებმა ადრეულ სტადიაში არ განიცადა მარცხი.

სულ ინგლისის სტადიონებზე გარანტირებულია 1 მილიონ 700 ათასი ადგილი დამსწრეთათვის.

## ბელგრადის „სპორტის" აზრით

✦ ლ. იაშინი, ვ. ვორონინი და ს. მეტრეველი — საუკეთესოთა შორის

ბელგრადის გაზეთ „სპორტის" მიერ მოწყობილი კონკურსის შედეგად 1965 წლის სეზონში ევროპაში უძლიერესად მიჩნეულ იქნა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები. მომდევნო ადგილებზე არიან იტალია, ინგლისი, უნგრეთი და პორტუგალია.

ამავე კონკურსის შედეგად შედგენილი ევროპის ნაკრები ასე გამოიყურება: იაშინი, შნელინგერი, ჟერმანო, ფაკეტი, ვორონინი, ბაქსტერი, მეტრეველი, სუარესი, ეუსებიო, ლოუ და ჩარლტონი.




ოქროს ქალღმერთი მსოფლიოს VIII ჩემპიონატის მონაწილეთა ალლუმზე.

ნახ. გ. იაშვილისა.

## ოთხთა ტურნირი ბრაზილიაში

✦ სსრ კავშირის ნაკრების მონაწილეობით

23-30 იანვარს რიო-დე-ჟანეიროში ეწყობა ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, სადაც მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის ნაკრები, რიო-დე-ჟანეიროს უძლიერესი კლუბები — „ფლამენგო" და „ფლუმინენზე". მეოთხე მონაწილე იქნება ბულგარეთის ნაკრები ან არგენტინის ექს-ჩემპიონი „ინდეპენდიენტე".

## ისევ ს. როუზი

სტენლი როუზს წლეულს გაუდის ფიფა-ს პრეზიდენტის რწმუნების ვადა. ამიტომ ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა კვლავ წამოაყენოს იგი ამ თანამდებობაზე მომდევნო 6 წლის ვადით. ფიფა-ს ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიოს კონგრესმა, რომელიც მიმდინარე წლის 8-9 ივლისს გამართება ლონდონში, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## ახალი ამბები

გრონინგენი 9 იანვარი. დამთავრდა ჭაბუკ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი. ბოლო ტურში ჩ. ეჯმ (პოლონეთი) დაამარცხა ბ. პედერსენი (დანია), გ. პოლაკმა (გფრ) — ა. უაიტლეი (ინგლისი), ხ. რეემ (ჰოლანდია) მ. ოსტოიჩი (იუგოსლავია), ა. ლომბარდიმ (შვეიცარია) — ლ. ვადასი (უნგრეთი), გ. დანერმა (ავსტრია) — ლ. ლილიედალი (შვეცია), გ. კუპრეიჩიკმა (სსრ კავშირი) — ხ. აბელსი (ჰოლანდია). ამრიგად, პირველი 6 ადგილი ასე გამოიყურება: რეე და უაიტლეი — 8-8, კუპრეიჩიკი და ოსტოიჩი — 7,5:7,5, ვადასი და პოლაკი — 7-7 ქულა.

● ნეიპერი 9 იანვარი. ახალ ზელანდიაში ტურნეს მეორე მატჩი საბჭოთა მძლეოსნებმა ამ ქალაქის სპორტსმენებთან გამართეს. კვლავ ტოლი არ ჰყავდა თ. პრესს: იგი პირველი იყო ბირთვის კვრასა (17,07) და ბადროს ტყორცნაში (54,55 მ). მისმა დამ — ირინამ გაიმარჯვა 80 მეტრზე თარჯრბენში — 11,0. ნახევარ მილზე რბენაში წარმატებით გამოვიდა 20 წლის ო. რაიკო (ლენინგრადი) — 1.51,8. 3 მილზე რბენაში ლ. ივანოვმა წინ გაუშვა ავსტრალიელები ბეილი (13.33,0), უაიტი (13.35,6) და ფინიშთან მესამე იყო — 13.36,4.

● მადონა დი კამპილიო (იტალია), 9 იანვარი. მხოლოდ ორმა მოციგურემ შეძლო 41 წამიდან „გამოსვლა" 500-მეტრიან დისტანციაზე აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელშიც 12 ქვეყნის 43 სპორტსმენი მონაწილეობდა. ესენი არიან საბჭოთა მოციგურეები ე. გრიშინი და ვ ვასნეცოვი. მათი დრო 40.8. ეს მიმდინარე სეზონის მეორე შედეგია მსოფლიოში.

● ბუდაპეშტი, 9 იანვარი. დიდოსტატი ლ. პორტიში გახდა უნგრეთის ჩემპიონი ჭადრაკში. მან ტურნირი წაუგებლად ჩაატარა და 15,5 ქულა მოაგროვა.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

ჩოგბურთი. საჩოგბურთო მოედნები (მარჯანიშვილის ქ. № 29). 11-19 იანვარი. თბილისის ზამთრის პირადი პირველობა. დასაწყისი 15 ს., კვირას — 10 ს.

ფარიკაობა. „განთიადის" სპორტდარბაზი (პლეხანოვის პრ. № 95). 11-16 იანვარი. რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა ახალგაზრდა სპორტსმენთა შორის. დასაწყისი 11 ს.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01810